12 აპრილი
კოსმონავტიკის
დღეა

(იხ. მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 70
(7381)

1983 წ.
12 აპრილი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან

ნუ დავკარგავთ საუნჯეს

გვჯერა, კვლავაც აღორძინდება!

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

კვირადილით, რიყისკენ მიმავალს, სადაც ქართული ჭიდაობის სარბიელის გახსნას უნდა დავსწრებოდი, უცნაური აზრი ამეკვიატა — ნუთუ თბილისური ქართული ჭიდაობა მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საჭიდაოებზე აღზრდილი სპორტსმენებით უნდა იკვებებოდეს, ნუთუ ჩვენს ქალაქში ამ უაღრესად ეროვნულ და რაინდულ სახეობას ტრადიცია არ ჰქონია?.. მომაგონდა ჭიდაობის ნამდვილი მექა — ფიქრის გორა, სადაც მკლავისა და მუხლის ძალას უსინჯავდნენ მეტოქეებს ძმები „ვერელები“ და სხვა შესანიშნავი მოჭიდავეები, რომელთა ფალავნობა ხალხში დღესაც ლეგენდად დადის...

და აი, რიყის არენაც. აქ დილიდანვე ტრიალებდნენ ქალაქის სპორტკომიტეტის მესვეურები. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა შეჯიბრება, რომელშიც თბილისის VIII სპარტაკიადის ქართველ მოჭიდავეთა ტურნირიც იყო ჩართული, ნამდვილ ზეიმად ექციათ. სტუმართა შორის იყვნენ წარსულში ცნობილი და სახელგანთქმული ფალავნები: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე, ევროპის ჩემპიონი ნოდარ მოდებაძე, სხვა აღიარებული ოსტატები. მათი სტუმრობა არავის გაჰკვირვებია, რადგან მათ თავიანთი ცხოვრება ბავშვობიდანვე ხალიჩას დაუკავშირეს, მაგრამ აი, ამ ოთხმოც წელს მიტანებულმა მანდილოსანმა კი, ასე გაფაციცებული რომ ადევნებდა თვალს ჭიდაობას, სწორედ რომ განმაცვიფრა. ერთხანს მონუსხული ვუცქერდი ამ თავშალიან ქალს, ვცდილობდი გამომეცნო მისი აქ მოსვლის მიზეზი. მერე გავბედე და გამოველაპარაკე.

— მარიამ რუხაძე, — მიპასუხა მან და განაგრძო, — აქ დავიბადე და მთელი ჩემი დღე და მოსწრება აი, ამ საქსოვ ფაბრიკაში ვმუშაობდი — და მტკვრის გაღმა მიმანიშნა. ახლა პენსიონერი გახლავართ. რაც შეეხება ჭიდაობის სიყვარულს, ახალგაზრდობიდან მომდევს. კარგად მახსოვს, არც ერთი საზეიმო დღე ისე როგორ ჩაივლიდა, ჭიდაობა რომ არ გამართულიყო. მთელი სვანეთის უბნის დიდი და პატარა ხუდადოვის ტყეში იკრიბებოდა. რა თქმა უნდა, გვყვანდნენ ჩვენი ფალავნებიც — განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვახტანგ კახეთელიძე, რომელსაც მეტსახელად „კუკუას“ ვეძახდით. იგი ჩემს ვაჟთან მეგობრობდა და აბა, „კუკუა“ თუ საჭიდაოდ უნდა გამოსულიყო, შინ რა გამაჩერებდა, ლამაზად ჭიდაობდა ის დალოცვილი. ტანადი და ლამაზად აღნაგი ჭაბუკი ავ თვალს არ დაენახვებოდა, მარტო სვანეთისუბნის კი არა, მთელი ქალაქის თვალი იყო...

— ამათი ჭიდაობა თუ მოგწონთ?

— კარგად ჭიდაობენ, მაგრამ „წესებს არღვევენ“. ზოგი გაურბის ბრძოლას, ზოგი კიდევ ეშმაკობს და სხვადასხვა ხერხით ცდილობს მოატყუოს მეტოქე. ახლა უმეტესობა ხელებით იბრძვის. ვის გაუგია, ეს რა ქართული ჭიდაობაა. ადრე ფეხს უფრო მეტად ხმარობდნენ. ალალი უნდა იყო, ბრძოლაშიც კი ალალი, — ამაშია ქართული ჭიდაობის ეშხი და მადლი — დაასკვნა ბოლოს მანდილოსანმა...

ვთხოვე, სურათს გადაგიღებთ-მეთქი, მაგრამ იუარა. ცოტა ხნის შემდეგ ტაატით გაუყვა ბარათაშვილის აღმართს.

მიდიოდა თავშალიანი ქალი, რომელმაც იმედით ამავსო. იმის იმედით, რომ თბილისში ქართული ჭიდაობა კვლავაც აღორძინდება. ან როგორ შეიძლება სხვანაირად? ჭიდაობა ხომ ოდითგანვე ასე იზიდავდა დიდსა თუ პატარა თბილისელს!

უ. ჭიჭინაძე.

• • •

სურათებზე: კვირას რიყის საჭიდაოზე.

ა. ვაჩიანის ფოტოები.



სპარტაკიადაზე საუკეთესოები წავლენ

ჰანოი. 1983 წლის საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იქნება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ტა კუანგ ტიენმა. — ვიეტნამელი სპორტსმენებისთვის, რომლებიც უძლიერეს საბჭოთა და უცხოელ ათლეტებთან ერთად გამოვლენ სპარტაკიადაზე, ეს ასპარეზობა მნიშვნელოვანი ეტაპია სპორტული ოსტატობის მწვერვალების დაპყრობის გზაზე. სპარტაკიადაზე გაემგზავრებიან ვიეტნამის საუკეთესო სპორტსმენები.

ჩვენი ქვეყნის ბევრი სპორტსმენი ამ საპასუხისმგებლო სტარტებისთვის გამოცდილი საბჭოთა მწვრთნელების ხელმძღვანელობით ემზადება. წლეულს ოსტატობის ასამაღლებლად მოსკოვს იმყოფებოდნენ ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები, მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები. ვსარგებლობ შემთხვევით, — თქვა ტა კუანგ ტიენმა, და მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას გვიწევს სპორტული კადრების მომზადებასა და დაოსტატებაში.

მათ შორის, ვინც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოვა, არიან ოლიმპიადა-80-ის მონაწილენიც. ისინი აღტაცებით იგონებენ სპორტის, მშვიდობისა და მეგობრობის ამ ჭეშმარიტ ზეიმს. მოსკოვის ოლიმპიადის ორგანიზაციისა და ჩატარების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მომავალი სპარტაკიადა ნათელი, დასამახსოვრებელი მოვლენა იქნება.

ვიეტნამელი სპორტსმენები ემზადებიან 1984 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის. ემზადებიან მძლეოსნები, მოჭიდავეები, მოცურავეები, მსროლელები. მაგრამ ლოს-ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის განაცხადის შეტანის დრო ჯერ არ დამდგარა. სამწუხაროდ, მიზანი, რომელიც დაისახეს ზაფხულის მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, არ შეესაბამება ოლიმპიური მოძრაობის იდეალებს. ფიქრობენ რა მხოლოდ მოგებაზე, კერძო მეწარმენი, რომლებიც ფაქტიურად ოლიმპიადა-84-ის ფინანსური და ორგანიზაციული გამგებლები არიან, მონაწილე ქვეყნებს ისეთ პირობებს უყენებენ, რაც ხშირად მათს ფინანსურ შესაძლებლობას აღემატება. საბოლოოდ ყველაფერმა ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს დელეგაციის შედგენაზე და ოლიმპიური თამაშების სპორტულ შედეგებზე, — ხაზგასმით აღნიშნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ. (საკდესი).

წოდებათა მინიჭება

საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანებით თავისუფალ ჭიდაობაში **„საკავშირო კატეგორიის მსაჯის“** წოდება მიენიჭა ომზარ შოშიტაშვილს („განთიადი“, თბილისი).

„სპორტის ოსტატის“ წოდება მიენიჭათ:

ფეხბურთში — ამირან ანდღულაძეს, გოჩა ჯოხაძეს, მიხეილ მესხს. გრიგორი ცავას (ყველა — „დინამო“, თბილისი).

ძიუდოში — გია ჯალალს („სპარტაკი“, თბილისი).

კრივში — ალბერტ კაზანჯიანს („შრომითი რეზერვები“, თბილისი).

ფარიკაობაში — ნინო ონიანს (განათლების სამინისტრო, ქუთაისი), გურამ შავგულიძეს („ლოკომოტივი“, ქუთაისი), გიორგი სავიცკის, ილიკო კიზიკურაშვილს (ორივე — „ბურევესტნიკი“, თბილისი).

წყალში ხტომაში — დავით მაისურაძეს (თბილისი).

ძალოსნობაში — გენადი კუდუხოვს („განთიადი“, ცხინვალი), ზურაბ ჯაფარიძეს („დინამო“, თბილისი).

ტყვიის სროლაში — აზიზ ოსმანოვს („დინამო“, სოხუმი), მარგარიტა ბიბილურს, იგორ დომკინს (ორივე — „დინამო“, თბილისი), სერგო სანაიას („კოლმეურნე“ სოხუმი).

მშვილდოსნობაში — ბაადურ შერვაშიძეს („კოლმეურნე“, ხელვაჩაური).

საგზატკეცილო ველოსპორტში — გრიგოლ ქოჩაკიძეს („ბურევესტნიკი“, ქუთაისი).

სამბოში — ოვანეს ჯივილიკიანს („სპარტაკი“, სოხუმი).

კოსმონავტების სპორტული ტრასები

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსურმა ხომალდმა „ვოსტოკმა", რომელსაც მართავდა საბჭოთა მოქალაქე იური გაგარინი, შეასრულა მსოფლიოში პირველი ორბიტალური გაფრენა. კოსმონავტიკის დღის წინ საკდესის კორესპონდენტმა პ. ხაჩკოვანიანმა რამდენიმე კითხვით მიმართა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტს **ა. ლეონოვს.**

● რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს კოსმონავტისთვის?

— კოსმონავტიკა ეს არა მარტო ურთულეს მექანიზმთა სინთეზი, არამედ ათასობით ადამიანის შეთანხმებული ძალისხმევაა. ჩემი და ჩემი ამხანაგების გამოცდილებიდან გამომდინარე მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: ვაჟკაცობას, გამძლეობას, სიძნელეებთან შებმას, გამკლავებას, დღესაც არ დაუკარგავს ფასი. დღეს, ტექნიკის საუკუნეში, უკანასკნელი სიტყვა მაინც ადამიანმა უნდა თქვას და ძალზე ბევრია დამოკიდებული მის ფიზიკურ შესაძლებლობაზე, სულიერ წრთობაზე, იმაზე, თუ როგორაა იგი მომზადებული შრომისა და ბრძოლისთვის.

არა მარტო კოსმონავტებს, არამედ ათასობით სხვა პროფესიის წარმომადგენლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ასეთი წრთობა, მაშინაც, როცა შრომის ხასიათი არ საჭიროებს სერიოზულ ფიზიკურ ძალ-ღონეს, მაშინაც, როცა ადამიანი ზის საწერ მაგიდასთან თუ სამართავ პულტთან. მეცნიერებმა დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ფიზიკური პასიურობა დაუსჯელად არ ჩაივლის. იგი ადრეულ დაძაბუნებაში, შრომისუნარიანობის დაქვეითებაში იჩენს თავს. საბოლოო ჯამში ეს ცუდ გავლენას ახდენს ყველაზე ძვირფასზე, რაც ადამიანს გააჩნია — ჯანმრთელობაზე.

● როგორ დაიწყო თქვენი მეგობრობა სპორტთან?

— დავიბადე ციმბირში, კემეროვოს ოლქში. სკოლაში სპორტის ბევრ სახეობას მივდევდი. მიტაცებდა მძლეოსნობა, რეგულარულად ვთამაშობდი ფრენბურთსა და ფეხბურთს. ამან ხელი შემიწყო კარგად მოვმზადებულიყავი და 15 წლისას ჩამებარებინა მშთ კომპლექსის ნორმატივები.

ბრწყინვალე ფიზიკური მომზადების წყალობით 1959 წელს წარმატებით გავიარე სამედიცინო კომისია და ჩავირიცხე კოსმონავტების პირველ რაზმში, რომელსაც ახლა „გაგარინულს" უწოდებენ. და განა მარტო ეს. 1965 წელს პავლე ბელიაევთან ერთად „ვოსხოდ-2"-ით ფრენის დროს გაფუჭდა ორიენტაციის სისტემა. ჩვენ გადავედით ხელით მართვაზე და დავეშვით პერმის რაიონში. ირგვლივ ტაიგა, ყინვა და წელამდე თოვლი... წრთობა რომ არა, ვინ იცის რა მოგვივიდოდა.

როცა 1975 წელს კვლავ დავიწყე მზადება კოსმოსური სტარტისთვის, უკვე „სოიუზ-აპოლონის" პროგრამით, ჩემი და ჩემი პარტნიორის ვალერი კუბასოვის სამუშაო დღე, როგორც წესი, დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებოდა. ხოლო ძირითადი მზადების პერიოდში 42 წლისამ ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩავაბარე 19-28 წლის ადამიანებისთვის განკუთვნილი მშთ კომპლექსის მეოთხე საფეხურის —„ფიზიკური სრულყოფა" — ნორმატივი. ჩემი ასაკის შესაფერი V საფეხურის — „სიმხნევე და ჯანმრთელობა" — ნორმა დიდი ხნის წინ მქონდა შესრულებული.

მაისში 49 წელი შემისრულდება, მაგრამ სპორტის წყალობით მუდმივ „კოსმოსურ ფორმაში" ვარ. ვასრულებ ჩვეულებრივ ფიზიკურ ვარჯიშებს, რომელიც სასარგებლოა ყველასთვის, ვისაც სურს იყოს ჯანმრთელი. მთავარია გქონდეს ნებისყოფა დილით ადრე ადგე. დილას აუცილებლად გამამხნევებელი ვარჯიშით ვიწყებ, ვცდილობ იგი სადმე პარკში შევასრულო, სიამოვნებით ვთამაშობ კალათბურთს, ფრენბურთს, ჩოგბურთს. კვირაში ორ-სამჯერ რამდენიმე კილომეტრზე დავრბივარ. კოსმოსში ორჯერ ყოფნამ დამარწმუნა, რომ ფიზიკური ვარჯიშების გარეშე საერთოდ შეუძლებელია უწონობის მდგომარეობაში რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში გაძლება.

● გვიამბეთ სხვა კოსმონავტების სპორტულ გატაცებებზე?

— დავიწყებ № 1 კოსმონავტით იური გაგარინით. იგი დიდი გატაცებით თამაშობდა ფეხბურთს, ჰოკეის, კალათბურთს და ჩვენც ყველას შეგვაყვარა ბევრი სახეობა. ამჟამად კალათბურთი, ჩოგბურთი და მინი-ფეხბურთი ყველაზე პოპულარულია ვარსკვლავეთა ქალაქში. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი რაზმში უკვე სპორტულად კარგად მომზადებული მოვიდა. მაგალითად, ალექსეი ელისეევი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონიც კი იყო ფარიკაობაში.

სპორტს კოსმონავტები განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებიან. უწონობის მდგომარეობაში დიდხანს გასაძლებლად მარტო ჯანმრთელობა არ კმარა. უნდა იყო ყოველმხრივ მომზადებული. ამიტომ კოსმონავტების მზადების ცენტრში აშენებულია სპორტული კომპლექსი, სადაც სარბენ ბილიკებთან, მძლეოსნურ სექტორებთან, ტანვარჯიშულ ქალაქთან ერთად არის კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი, ჩოგბურთის კორტები და სპორტის სასახლე.

● თქვენ მშთ ფიზკულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ხართ. როგორ უძღვება საბჭო მოსახლეობას შორის კომპლექსის შემდგომ დანერგვას?

— მუშაობა გრძელდება სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის ცნობილი დადგენილების საფუძველზე. პირველ რიგში ყურადღება ექცევა ფიზკულტურის განვითარებას საცხოვრებელ ადგილებში, ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობას შორის.

ამჟამად სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალების წინ საწარმოს, მშენებლობების, დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივებში გრძელდება პირველი ეტაპის სტარტები, რომლის პროგრამაში შეტანილია აგრეთვე შეჯიბრებები მშთ მრავალჭიდში (საკდესი).

დიდი კალათბურთის სეზონი

ქვეყნის ჩემპიონატის შედეგებსა და საბჭოთა კალათბურთელების მომავალ სტარტებზე გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგეი ბელოვი.

წლევანდელი ჩემპიონატის ფინიშმა ძალზე დააინტერესა გულშემატკივრები. წესებში შეტანილი ცვლილებების წყალობით მათ შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისს" შორის ოქროს მედლებისთვის გამართული სამი დამატებითი მატჩი. ფინალურ რაუნდში არმიელთა გამარჯვება (2:1) კანონზომიერი იყო, ვინაიდან მათ ამ შეხვედრებში გამოავლინეს მებრძოლი, ჭეშმარიტად ჩემპიონური ხასიათი და სათამაშო სიბრძნე.

რაც შეეხება თვით სიახლეს, ჩემი აზრით, ფინალური მატჩების სისტემა უფრო არახანგრძლივი ტურნირებისთვისაა მიზანშეწონილი. ხოლო შეჯიბრებისთვის, რომელიც თითქმის ნახევარ წელიწადს გრძელდება, უფრო სამართლიანია წრიული სისტემა.

„ჟალგირისის" წარმატება არ შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ. ეს გუნდი, რომელსაც ჰყავს უკანა ხაზის შესანიშნავი მოთამაშეები — მსოფლიო ჩემპიონები ხომიჩუსი, იოვაიშა, მასალსკისი — ბოლო წლებში აჩვენებდა სწრაფ, თანამედროვე კალათბურთს. მაგრამ გუნდის შემადგენლობაში 18 წლის ცენტრალური თავდამსხმელის საბონისის (213 სმ) გამოჩენის შემდეგ კაუნასის კლუბის თამაში ყველა ხაზზე გათანაბრდა.

რა თქმა უნდა, „ჟალგირისს" აქვს ბევრი პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც ბევრადაა დამოკიდებული გუნდის მომავალი წარმატება. გუნდში არ ჰყავთ საბონისის შემცვლელი, ჩივილისისნაირი ძლიერი განაპირა თავდამსხმელი.

დედაქალაქის არმიელებმა, რომლებმაც 21-ედ მოიპოვეს ოქროს მედლები, მთელი ჩემპიონატი არათანაბრად ჩაატარეს. ისინი იმედებს ამყარებდნენ მსოფლიო ჩემპიონებზე, რომლებმაც დიდხანს ვერ აღიდგინეს ფიზიკური ფორმა კოლუმბიის მსოფლიო პირველობის შემდეგ, ახალგაზრდები კი მხოლოდ ეპიზოდურად გამოდიოდნენ მოედანზე. რა თქმა უნდა, მიშკინმა, ტარაკანოვმა, ერიომინმა, ლაპატოვმა და ტკაჩენკომ (რომელიც ახლა ცსკაში თამაშობს) საბოლოო ჯამში მაინც გააკეთეს თავიანთი საქმე.

არმიელებს უფრო წარმატებით შეეძლოთ ეთამაშათ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე. პრაქტიკულად ფინალის საგზურის მოპოვება ასეთი ფორმულით: შინ ყველა გამარჯვება და არანაკლებ ორი შეხვედრის მოგება სტუმრად.

უდავოდ ძლიერები იყვნენ არმიელთა მეტოქეები. მათს დამკვრელურ ძალას შეადგენს უმაღლესი კლასის 5-6 მოთამაშე, მათგან 2, როგორც წესი, ამერიკელია. დანარჩენი მოთამაშეები შესამჩნევად სუსტები არიან. ამიტომ „გრძელ სკამს" განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ცსკა-ს თამაშზე აშკარად იქონია გავლენა გუნდის შემადგენლობაში მაღალი კლასის ცენტრალური თავდამსხმელის უყოლობამ.

წარმატებას მიაღწია კიევის „სტროიტელმა", თუმცა იგი წინათაც რეგულარულად შედიოდა ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორთა რიცხვში. მაგრამ კიეველებში „ამინდს ქმნიდა" ცენტრალური თავდამსხმელის ტკაჩენკოსა და ბელოსტენის დუეტი. ტკაჩენკოს ცსკა-ში გადასვლის შემდეგაც ბელოსტენიმ ბრწყინვალედ ითამაშა მთელი ჩემპიონატი. ჩემი აზრით, თამაშის ხარისხით, მონდომებით, გუნდის წარმატებაში შეტანილი წვლილით იგი წლევანდელი ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა.

„ბრინჯაოსთვის" ბრძოლაში კიეველთა მეტოქემ მოსკოვის „დინამომ" წარმატებით აიღო ჩემპიონატის სტარტი, მაგრამ სეზონის ბოლოსთვის შესამჩნევად დათმო პოზიციები, თუმცა „კორაჩის თასის" გათამაშების ნახევარფინალში გასვლა კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

პროგრესის პრიზი რომ არსებობდეს, მე მას მინსკის რტი-ს მივაკუთვნებდი. სტუდენტთა მოქმედებაში ჩანდა გუნდური ხასიათიც, მაღალი სათამაშო დისციპლინაც, რაც ხშირად აკლდა ზოგიერთ სახელოვან კლუბს. მინსკელებისთვის ახლა მთავარია არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, დაამტკიცონ, რომ წლევანდელი წარმატებები სერიოზულ ბაზაზე აღმოცენდა.

ყოველი ჩემპიონატი ახალ ტალანტებს ავლენს. წლევანდელში, საბონისის გარდა გამოვყოფდი მოსკოვის „დინამოს" მოთამაშეს ბირიუკოვს, რომელიც საბჭოთა კლუბების ნაკრების შემადგენლობაში ასევე წარმატებით გამოდიოდა აშშ-ში შემოდგომის ტურნეს დროს. უმრავლეს შეხვედრაში მან თავისი 19 წლის კვალობაზე საოცრად მოწიფული თამაში აჩვენა. ახალგაზრდა კარგი მცველი ბევრი არ გვყავს, მაგრამ გამთამაშებელი, ასე ვთქვათ, „დირიჟორები" უფრო ცოტაა. სწორედ ამ ამპლუაშია კარგი ბირიუკოვი, რომელიც დინამოელთა ბევრ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო.

ქვეყნის ჩემპიონატით სულაც არ ამოიწურება კალათბურთელთა წლევანდელი სეზონი. წინაა ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში (26 მაისი — 4 ივნისი) და სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ტურნირი მოსკოვში (13-26 ივნისი). გარდა ამისა, უძლიერესი სტუდენტი კალათბურთელები ზაფხულის უნივერსიადაზე იასპარეზებენ ედმონტონში (კანადა).

თუ ავიღებთ ობიექტურ მაჩვენებლებს, სსრ კავშირის ნაკრები ამჟამად უძლიერესია კონტინენტზე. მისი მთავარი ოპონენტი, 70-იანი წლების „გუნდი-საოცრება" — იუგოსლავიის ნაკრები, ვერ ტოვებს ადრინდელ შთაბეჭდილებას. მის მთავარ „ვარსკვლავად" რჩება მხოლოდ კიჩანოვიჩი, რომელიც კვლავინდებურად ინარჩუნებს ბრწყინვალე სნაიპერულ თვისებებს. რა თქმა უნდა, ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იუგოსლავიის კალათბურთელებთან შეხვედრა, თუ იგი შედგება (სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები წინასწარ შეხვედრებს ჩაატარებენ სხვადასხვა ჯგუფში), იოლი იქნება.

სერიოზულ მეტოქეებად მიმაჩნია იტალიისა და ესპანეთის ნაკრებები. ორივე გუნდს ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეები. ზოგიერთი მათგანი სპორტის მოყვარულებმა ევროპის თასის მატჩებზე იხილა. საკმარისია გავიხსენოთ იტალიის კალათბურთის ახალი თაობის წარმომადგენელი რივა („ფორდი"). ორივე ნაკრები გუნდი 5-6 წელია ერთი შემადგენლობით გამოდის, ეს კი თამაშის სტაბილიზებისთვის ოპტიმალური ვადაა. ასეთი გუნდისგან ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი შედეგების ამაღლება. შესაძლოა, ეს ევროპის პირველობაზეც მოხდეს.

სასპარტაკიადო ტურნირი, რომელიც ევროპის პირველობის შემდეგ გაიმართება, ჩვენი კალათბურთის დათვალიერება იქნება. მხოლოდ სპარტაკიადა გვაძლევს შესაძლებლობას ერთად მოვუყაროთ თავი მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერეს მოთამაშეებსა და საუკეთესო მწვრთნელებს. ასეთი შეჯიბრებები კალათბურთის ნამდვილი სკოლაა, სადაც ყველაფრის სწავლა შეიძლება.

მახსოვს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, რამდენ რამეს ვსწავლობდი სასპარტაკიადო ტურნირებში. თვალყურს ვადევნებდი ჩვენი უძლიერესი ოსტატების თამაშს სხვადასხვა სიტუაციაში. სპარტაკიადა ყოველთვის ახალ იმპულსს აძლევს ქვეყანაში კალათბურთის შემდგომ განვითარებას. ამიტომ მას მოუთმენლად ელიან როგორც კალათბურთელები, ასევე ამ თამაშის თაყვანისმცემლებიც. (საკდესი).



* * *

სურათზე: ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის" ერთ-ერთი მატჩის მომენტი. შეტევაზეა კაუნასელი ა. საბონისი.

საკდესის ფოტო.

● ადგილებიდან გვატყობინებენ

სპორტული კომპლექსი — საინგილოში

მიმდინარე სასწავლო წელს არაერთი სპორტული ღონისძიება ჩატარდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ზაქათლის რაიონის სოფელ ალიაბადის № 4 რვაწლიან სკოლაში. სულ ახლახან კი ფიზკულტურის მასწავლებელ ი. ბაზაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით სკოლის ეზოში გაიხსნა ახალი სპორტული კომპლექსი. ამასთან დაკავშირებით სკოლაში ჩატარდა სპორტული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სოფლის ახალგაზრდა სპორტსმენებმა — ფეხბურთელებმა, მძლეოსნებმა, მოჭიდავეებმა.

ვ. ველიევი.

„თეთრი ეტლის" პრიზზე

ტრადიციულად, 3 მაისს თერჯოლის რაიონის პიონერთა ბანაკ „საპოვნელაში" დაიწყება რესპუბლიკური გათამაშება ჭადრაკში „თეთრი ეტლის" პრიზზე.

ამ შეჯიბრებისთვის ახალციხის რაიონის სკოლების გუნდებს შორის შესარჩევი თამაშები გაიმართა. პირველი ადგილი დაიკავა ახალციხის პირველი საშუალო სკოლის გუნდმა.

ზ. დიდმამიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

პირველი მატჩი, პირველი გამარჯვება

ლანჩხუთი. „კოლხეთის“ სტადიონი. 8 აპრილი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0 (0:0).

„გურია“: მესხია, ცნობილაძე, გოგოხია, ხურცილავა, ლომინაძე (ხანიკიძე), ებანოიძე, გილიგაშვილი, ტეხლენკო (ვერულაშვილი), ჩხაიძე, ციპლე (ფრიდონიშვილი), აკოფიანი.

„ლოკომოტივი“: ბაბურინი, პაროვი, ბოკი, ბუკიევსკი, ხომუტეცკი, მუხანოვი, საფრონენკო (ბილიალეტდინოვი), ილინი, ნიკონოვი, ხარკოვი, კალაიჩევი.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

გააფრთხილეს ხომუტეცკი.

დუბლიორები — 1:3.

I ლიგის XIV საკავშირო გათამაშების სტარტზე ლანჩხუთელ ფეხბურთლებს მეტოქედ ჰყავდათ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძლიერი გუნდი. დასაწყისში ორივე გუნდი ფრთხილობდა, დაცვას მეტ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ შუა ტაიმისთვის მასპინძლებმა იერიშები წამოიწყეს, თავდამსხმელებს აქტიურად აუბეს მხარი ნახევარმცველებმა. „ლოკომოტივის“ კართან სახიფათო მომენტები შექმნეს ტესლენკომ, აკოფიანმა, შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა ჩხაიძემ.

ტაიმის დასასრულს რამდენიმე კონტრშეტევა განავითარეს ლოკომოტიველებმაც. მათი თავდასხმის ლიდერს მუხანოვს ყურადღებით მეურვეობდა ხურცილავა, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნათ კალაიჩევს და ხარკოვს.

შესვენების შემდეგ ლანჩხუთელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ზედიზედ გავიდნენ მეკარე ბაბურინის პირისპირ აკოფიანი, ტესლენკო და სხვები, ბაბურინმა შესანიშნავად ითამაშა და რამდენიმეჯერ იხსნა თავისი გუნდი.

30-ე წუთზე გარღვევაზე გავიდა ებანოიძე, გასცდა ორ მცველს, მაგრამ მას წამოეწია ბუკიევსკი და უხეშად წააქცია საჯარიმო მოედანზე. პენალტი უშეცდომოდ შეასრულა თვით ებანოიძემ — 1:0.

გაშვებული ბურთის შემდეგ მოსკოველებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, გააძლიერეს შეტევები, მაგრამ ამ პერიოდში საუკეთესოდ ითამაშა „გურიის“ დაცვამ, მატჩის ბოლო 10-15 წუთის მანძილზე აშკარა უპირატესობა კვლავ მასპინძლებს ჰქონდათ, რომლებსაც არ გასჭირვებიათ გამარჯვების შენარჩუნება.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები დაისაკუთრეს მოსკოველმა ს. ბაბურინმა და ლანჩხუთელმა თ. ებანოიძემ.

აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელობამ, ფეხბურთის სარაიონო ფედერაციამ (თავმჯდომარე ევ. შევარდნაძე) და თვით „გურიის“ მწვრთნელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სეზონის სასტარტო მატჩი ჩატარებულიყო მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე.

ა. ორმოცაძე.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

●

სპეციალისტის კომენტარი

ლანჩხუთის „გურიისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩს დაესწრო საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გიორგი ანთაძე,** რომელსაც ვთხოვეთ მცირე კომენტარი გაეკეთებინა განვლილი თამაშისთვის:

— ლანჩხუთელთა კოლექტივი კარგად მოემზადა საკავშირო გათამაშებისთვის, — თქვა მან. — მწვრთნელებმა სათანადო ძიება და სასელექციო მუშაობა ჩაატარეს, შეარჩიეს და სათანადოდ შეათამაშეს ძირითადი შემადგენლობა. პირველ მატჩში „გურია“ მოქმედებდა კოლექტიურად, კარგი ურთიერთგაგებით, ენერგიულად, ნამდვილი სპორტული შემართებით. განსაკუთრებით მომეწონა ის, რომ გუნდი შეტევით მოქმედებს და მეტოქეს თავს ახვევს საკუთარ გეგმას. ნუ დავივიწყებთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი“ მრავალნაცადი, ძლიერი კოლექტივია, მასთან უპირატესობის მოპოვება იოლი საქმე არაა. ამას გარდა, უნდა ისიც აღვნიშნო, რომ „გურიას“ კარგი რეზერვები ჰყავს და თუ მას რაიმე მიზეზით გამოაკლდა წამყვანი მოთამაშე, კოლექტივს ტოლფასოვანი შემცვლელები საკმაოდ ეყოლება.

I ლიგა

სხვა მატჩები

სხვა მატჩები I ლიგის სასტარტო ტურში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ქაირათი“ (ალმა-ათა)— ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „დინამო“ (კიროვი) 0:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 4:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დნეპრი“ (მოგილიოვი) 6:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ-„კარპატი“ 0:2.

ლოზანას გაემგზავრნენ

●

სსრ კავშირი — შვეიცარია

●

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ლოზანას გაემგზავრა, სადაც 13 აპრილს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი აქვს შვეიცარიის გუნდთან. ესაა ჩვენი ფეხბურთელების ბოლო რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ პორტუგალიის გუნდთან, რომელიც 27 აპრილს გაიმართება მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებიან: **მეკარეები** — რ. დასაევი („სპარტაკი“, მოსკოვი) და ვიქ. ჩანოვი („დინამო“ კიევი); **მცველები:** ნ. ლარიონოვი („ზენიტი“, ლენინგრადი), ს. ბალტაჩა და ა. დემიანენკო („დინამო“, კიევი), ა. ჩივაძე („დინამო“, თბილისი); **ნახევარმცველები** — ა. ბალი და ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი), ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), თ. სულაქველიძე („დინამო“, თბილისი), ხ. ოჰანესიანი („არარატი“, ერევანი); **თავდამსხმელები** — ს. როდიონოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), რ. შენგელია („დინამო“, თბილისი), ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი).

ნაკრების უფროსი მწვრთნელია ვ. ლობანოვსკი, მას ეხმარება ს. მოსიაგინი.

ძალთა შემოწმება

შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრები წლების განმავლობაში ევროპის გუნდების მესამე ათეულში ხვდებოდა; იშვიათად — მეორეში, მაგრამ 1982 წლის სეზონის შედეგებით პარიზის „ფრანს ფუტბოლმა“ იგი ევროპაში მერვედ მიიჩნია. რის საფუძველზე? ამ წლის განმავლობაში შვეიცარიელებმა 10 საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს, 6 მოიგეს, 2 ფრედ დაასრულეს და 2 წააგეს, ბურთების სხვაობა 14—11. შვეიცარიელებმა რომში დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონი — იტალიის ნაკრები — 1:0, ბაზელში სძლიეს ინგლისელებს — 2:1, ბუქარესტში — რუმინელებს —2:1, ბრატისლავაში — ჩეხოსლოვაკიელებს — 1:0, ციურიხში —შოტლანდიელებს — 2:0, ათენში —ბერძნებს — 3:1. ერთი სიტყვით, შვეიცარიული ფეხბურთის არნახული ამაღლება ნათელია. ამას უკავშირებენ ახალ მწვრთნელს, 50 წლის ლუცერნელ პაულ ვოლფისბერგს. ოდესღაც კულტივირებული „რაპანის კლიტესაგან“ აღარაფერი დარჩა, შვეიცარიელები თამაშობენ გაბედულ, შეტევ ფეხბურთს. ასეთ დიდ წარმატებებს პ. ვოლფისფერგმა სულ რაღაც 2 სეზონის მანძილზე მიაღწია.

შვეიცარიელებს ორი საკმაოდ ცნობილი მეკარე ჰყავთ. მათგან უპირატესობას ანიჭებენ 32 წლის ე. ბურგენერს (ჟენევის „სერვეტი“), რომელმაც 58-ჯერ ითამაშა ნაკრებში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გუნდის კაპიტანი ბურგენერი საიმედოდაც თამაშობს და ჩინებულადაც ხელმძღვანელობს მცველებს. მეორე მეკარე რ. ბერბიგი (ციურიხის „გრასჰოპერსი“) 29 წლისაა, 7 მატჩი ითამაშა ნაკრებში. სხვათა შორის, იგი დისერტაციას წერს მეკარის თამაშზე.

დაცვის ხაზში 4 ადგილზე 5 ძირითადი კანდიდატია. ესენია: ჰ. ლიუდი („ფკ ციურიხი“, 25 წლის, 28 მატჩი), ჰ. ჰერმანი („გრასჰოპერსი“, 25 წლის, 33 მატჩი), ა. ეგლი („გრასჰოპერსი“, 25 წლის, 24 მატჩი); ა. გაიგერი („სერვეტი“, 23 წლის, 8 მატჩი), ჯ. ცაპა („ფკ ციურიხი“, 27 წლის, 22 მატჩი).

კარგა ხანია შუა ხაზი უცვლელი შემადგენლობით გამოდის: ვერლი — ფავრი — დეკასტელი. რ. ვერლის („გრასჰოპერსი“, 27 წლის, 33 მატჩი) საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დაიხიოს უკან და სტოპერის როლი შეასრულოს. ი. ფავრი („სერვეტი“, 26 წლის, 11 მატჩი) საჯარიმო დარტყმების ჩინებული ოსტატია. 2 წელიწადი ბუნდესლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „შტუტგარტში“ თამაშობდა მ. დეკასტელი („სერვეტი“, 28 წლის, 5 მატჩი).

თავდასხმაში წამყვანი ფიგურაა 27 წლის ცენტრფორვარდი კ. სულზერი („გრასჰოპერსი“, 34 მატჩი), იგი დაჯილდოებულია „გოლის ინსტინქტით“, ბევრი ბურთი გააქვს თავით. 1982 წლის სეზონის შედეგების თანახმად სულზერი შვეიცარიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს. იანვარში იგი დაშავდა, გამოტოვა მატჩი ბულგარელებთან, მაგრამ შემდეგ ისევ ჩადგა მწყობრში, სულ 40-ჯერ ითამაშა ნაკრებში. რ. ელზენერმა („ფკ ციურიხი“, 30 წლის) „ისტორიული გოლი“ გაიტანა იტალიელთა კარში რომში. ელზენერი ორი სეზონის მანძილზე გფრ-ის „აინტრაქტის“ (მაინის ფრანკფურტი) შემადგენლობაში გამოდიოდა. რ. პონტე შვეიცარიაში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში“ თამაშობდა. იგი ახლა „გრასჰოპერსში“ გამოდის, 28 წლისაა, 17 მატჩი ჩაატარა ნაკრებში. ჟ.-პ. ბრიგერი „სერვეტში“ თამაშობს, 26 წლისაა, ნაკრებში 7 მატჩი ჩაატარა.

ისევე, როგორც საბჭოთა ფეხბურთელებისთვის, შვეიცარიის ნაკრებისთვისაც, 13 აპრილის მატჩი ძალების შემოწმებაა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის გადამწყვეტ შეხვედრათა წინ.

გ. გამრეკელი.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

იტალია

განვლილ ტურში „რომამ“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა „კატანძარო“ და 37 ქულით (26 თამაშის შემდეგ) კვლავ ლიდერობს. იგი 4 ქულით უსწრებს ცნობილ „იუვენტუსს“, აქ კი იტალიის ნაკრების 7 ფეხბურთელი გამოდის. ამ ტურში „იუვენტუსმა“ ანგარიშით 5:0 მოუგო „ასკოლის“, 2 გოლი გაიტანა პაოლო როსიმ. მესამე ადგილზეა „ინტერი“ (32 ქულა), რომელმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხა „აველინო“.

პორტუგალია

ლიდერმა —ლისაბონის „ბენფიკამ“ განვლილ ტურში ფრედ ითამაშა „რიო ავესთან“ — 0:0. ასევე არც ერთი ბურთი არ გასულა „ვიტორიასა“ და „პორტოს“ შეხვედრაში.

„ბენფიკას“ 41 ქულა აქვს, „პორტოს“ — 37.

საფრანგეთი

„ნანტს“, რომელიც ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში, 7 ქულით მეტი აქვს, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ „ბორდოს“. განვლილ ტურში „ნანტმა“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა „სოშო“ და 48 ქულა დააგროვა. გაიმარჯვა „ბორდომაც“ — 2:0 „ლილთან“ შეხვედრაში. მესამე ადგილზეა „სენ ჟერმენი“ (39 ქულა). მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ლიონი“.

ინგლისი

XXXIII ტურში ლიდერმა „ლივერპულმა“ კიდევ ერთი მატჩი მოიგო, ამჯერად, „სანდერლენდთან“ — 1:0, გაიმარჯვა „მანჩესტერ იუნაიტედმაც“, რომელსაც მეორე ადგილის მოპოვების შესაძლებლობა აქვს (3:0 — „კოვენტრი სიტისთან“).

სხვა შეხვედრები: „არსენალი“ — „საუთჰემპტონი“ 0:0, „ბირმინგემ სიტი“ — „სუონსი სიტი“ 1:1, „ბრაიტონ ალბიონი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:1, „იფსვიჩ თაუნი“ — „ასტონ ვილა“ 1:2, „ლუტონ თაუნი“ — „ნორვიჩ სიტი“ 0:1, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ევერტონი“ 2:0, „სტოკ სიტი“ — „ნოთს ქაუნთი“ 1:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“— „უოტფორდი“ 2:1.

სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა რეში („ლივერპული“) — 29 ბურთი. ბლისეტმა („ნოტინგემ ფორესტი“) 24 გოლი გაიტანა, ლაჩფორდმა („სუონსი სიტი“) —23.

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	**34**	**80—26**	**77**
„უოტფორდი“	**35**	**68—44**	**61**
„მანჩ. იუნ.“	**33**	**45—25**	**59**
„ასტ. ვილა“	**35**	**52—42**	**58**

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონატში მოგებისას გუნდებს ეწერებათ 3 ქულა.

გფრ

აქ გაიმართა რამდენიმე გამოტოვებული მატჩი. „ბორუსიამ“ (მიონხენგლადბახი) ანგარიშით 5:0 დაამარცხა „კარლსრუე“; „ჰერტამ“ (დას. ბერლინი) წააგო ბრემენის „ვერდერთან“ — 0:1, „კაიზერსლაუტერნმა“ მოუგო „შალკე 04“-ს (გელზენკირხენი) 2:0, ხოლო „ბოხუმმა“ —„ბაიერს“ (ლევერკუზენი) 3:2.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტურით ადრე საპრიზო ადგილებისთვის 7 გუნდი იბრძვის:

„ჰამბურგი“	**26**	**59—25**	**38**
„ვერდერი“	**26**	**49—30**	**37**
„ბაიერნი“	**26**	**59—21**	**36**
„შტუტგარტი“	**25**	**61—33**	**35**
„ბორუს.“ (დორტ.)	**26**	**61—38**	**34**
„კიოლნი“	**25**	**54—30**	**33**
„კაიზერს.“	**26**	**44—33**	**32**

დიდი ბრძოლაა ბუნდესლიგაში დარჩენის უფლებისთვის. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჯერჯერობით არიან „კარლსრუე“ და „შალკე 04“ (14-14 ქულა თითოეულს), აგრეთვე, „ჰერტა“ და „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — 18-18 ქულა.

ავსტრია

გრძელდება მეტოქეობა დედაქალაქის კლუბებს „რაპიდსა“ და „აუსტრიას“ შორის, თუმცა „რაპიდი“ თანდათან უკან იტოვებს თავის ტრადიციულ მოქიშპეს.

„რაპიდი“	**18**	**43—9**	**30**
„აუსტრ.“ (ვენა)	**18**	**37—16**	**26**
„სვ.ვაკ.“ (ინსბ.)	**18**	**34—23**	**23**

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის კალენდარულ შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები:

„ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ 1:0 (1:0). მატჩის ბედი გადაწყვიტა ოდესელი პოკონინის მიერ 44-ე წუთზე ზუსტად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, გ. სეფიაშვილი, უ. ფურცელაძე (ყველანი — თბილისიდან).

დუბლიორები — 4:1.

„ნისტრუ“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:3 (0:0). მასპინძლებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძლეს მეტოქის ძლიერ იერიშებს, შესვენების შემდეგ კი მოლოდცოვმა და გაზაევმა (2) სამჯერ აიღეს „ნისტრუს“ კარი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: მ. კობიაშვილი (გორი), გ. გაბისკირია და ნ. მილჩენკო (ორივე — სოხუმი).

დუბლიორები— 1:1.

„დნეპრი“ — „ფახთაქორი“ 2:1 (0:0). მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს უსტიმჩიკმა და ლიუტიმ, ხოლო სტუმართაგან — ამრიევმა.

დუბლიორები — 2:1.

„ჟალგირისი“ — „ნეფთჩი“ 1:0 (1:0). ბურთი ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა გრაჟულისმა.

დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი“ — „ზენიტი“ 0:0. გააფრთხილეს ლენინგრადელი გერასიმოვი.

დუბლიორები — 1:0.

ცსკა — „არარატი“ 1:2 (1:0). პირველი ბურთი არმიელმა ჩესნოკოვმა გაიტანა პენალტით, შესვენების შემდეგ კი ერევნელმა ოჰანესიანმა ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი.

გააფრთხილეს ერევნელი სააკიანი.

დუბლიორები — 5:0.

● **მეოთხე** ტურის შემდეგ შედეგიანობამ რამდენადმე იმატა — 1,82 გოლი თამაშში.

● **არც** ერთი გოლი არ გაუტანიათ ბაქოს „ნეფთჩის“ ფეხბურთელებს, არც ერთი ბურთი არ გაუშვია ვილნიუსის „ჟალგირისს“.

● **ჩემპიონატის** პირველი „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა მოსკოვის „ტორპედოს“ თავდამსხმელმა ვ. პეტრაკოვმა, რომელიც ახლა სათავეში უდგას საუკეთესო ბომბარდირთა სიას — 5 გოლი. ერევნელმა ხ. ოჰანესიანმა გაიტანა 4 ბურთი, სპარტაკელმა როდიონოვმა — 3.

● **განვლილ** 4 ტურში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო მინსკისა და თბილისის დინამოელთა მატჩს მინსკის სტადიონზე — 50.050.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	3	1	0	10—2	7
„დინამო“ მ.	4	3	1	0	5—1	7
„სპარტაკი“	4	3	0	1	8—6	6
„დინამო“ თბ.	4	2	1	1	5—3	5
„ფახთაქორი“	4	2	1	1	7—6	5
„დინამო“ მნ.	4	2	1	1	5—5	5
„დნეპრი“	4	2	0	2	7—5	4
„ჩერნომორ.“	3	2	0	1	6—4	4
„დინამო“ კ.	3	2	0	1	5—3	4
„მეტალისტი“	3	2	0	1	5—3	4
„ჟალგირისი“	4	2	0	2	8—7	4
„არარატი“	4	2	0	2	5—9	4
„ტორპედო“ მ.	4	1	0	3	2—4	2
„შახტიორი“	4	1	0	3	2—4	2
„ნეფთჩი“	4	1	0	3	2—5	2
„ზენიტი“	4	1	0	3	4—8	2
„ნისტრუ“	3	0	1	2	2—6	1
„ტორპედო“ ქ.	4	0	0	4	2—9	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

ალიკანტეში...

ნ. ალექსანდრია— ტ. ლემაჩკოს მატჩის მეოთხე პარტია 10 აპრილს არ შედგა, რადგან ლემაჩკომ „ტაიმ-აუტი“ აიღო. ეს პარტია დღეს, 12 აპრილს გაიმართება.

ზ. რიბლი—ე. ტორეს მატჩის მეოთხე პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 2:2.

ბად-კისინგენში...

ლ. პორტიშ — ვ. კორჩნოის მატჩში კვლავ წინაა კორჩნოი — 5:2. მეტოქეებმა მეშვიდე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

● ჭადრაკი

პირველი მოგება ჩემპიონთან

შაბათს, მოსკოვში, სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატზე გაიმართა მეექვსე ტური, რომელშიც მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა: კარპოვი დაუზავდა ფსახისს, ხოლო ბალაშოვი —რაზუვაევს.

კვირა დღე გადადებული პარტიების დამთავრებას დაეთმო.

კარპოვი თამაშის განუახლებლად დანებდა აზმაიფარაშვილს მეხუთე ტურიდან გადადებულ პარტიაში, რომელშიც ქართველ მოჭადრაკეს დიდი უპირატესობა ჰქონდა.

ამ პარტიამ, ჯერ კიდევ თამაშის პროცესში, საერთო ყურადღება მიიქცია. ახალგაზრდა ოსტატი ლაღად და ენერგიულად თამაშობდა.

აი, ეს საინტერესო პარტიაც:

კარპოვი — აზმაიფარაშვილი

პირც-უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 g6 3. მf3 მf6 4. მc3 კg7 5. კe2 0—0 6. 0—0 კg4 7. კe3 მc6 8. ლd2 e5 9. d5 მe7 10. ეad1 b5 11. a3 a5 12. b4 a×b4 13. a×b4 ეa3 14. კg5



14. ... ე×c3 15. კ×f6 კ×f3 16. კ×f3 ეa3 17. კ×g7 მფ×g7 18. ეa1 ლa8 19. ე×a3 ლ×a3 20. კe2 ლb2 21. ეd1 f5 22. e×f5 მ×f5 23. c3 ლ×d2 24. ე×d2 ეa8 25. კ×b5 ეa3 26. ეc2 მe7 27. f4 e×f4 28. კc6 მf5 29. მფf2 მe3 30. ეc1 მფf6 31. g3 მფe5 32. მფf3 g5 33. g×f4+ g×f4 34. h4 მ×d5 35. კ×d5 მფ×d5 36. მფ×f4 მფc4 37. ეe1 ე×c3 38. ეe7 მფ×b4 39. ე×h7 d5 40. მფe5 c6 41. მფd4. თეთრები დანებდნენ.

ცნობილ სადებიუტო სისტემაში აზმაიფარაშვილმა თავისი მწვრთნელის, ოსტატ ი. ჩიქოვანის მიერ დამუშავებული ახალი გაგრძელება (მე-10 სვლა) გამოიყენა. მსოფლიო ჩემპიონი დილემის წინაშე აღმოჩნდა: მიეღო თუ არა შემოწირული პაიკი? აყვანას შავების მზარდი ინიციატივა მოჰყვებოდა, ამიტომ უარი თქვა პაიკზე, სამაგიეროდ იძულებული გახდა განაპირა ვერტიკალი დაეთმო. იერიშის განვითარების მიზნით აზმაიფარაშვილმა ხარისხი შეწირა. მსოფლიო ჩემპიონმა ეს „საჩუქარიც“ უკუაგდო, რადგან მისი პოზიცია სწრაფად დაიმსხვრეოდა. ამჯერად ქართველი ოსტატი ლაზიერით შეიჭრა თეთრების განლაგებაში და ჩემპიონი აიძულა თამაში უარეს ენდშპილში გაეგრძელებინა. აზმაიფარაშვილი ენდშპილშიც ენერგიულად მოქმედებდა და ორი გამსვლელი პაიკიც შექმნა. სწორედ ამ პაიკებმა გადააწყვეტინეს კარპოვს დაეთმო პარტია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს არის საერთოდ ვაჟი ქართველი მოჭადრაკის პირველი გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონთან.

ქართველ მოჭადრაკეებს ადრეც დაუმარცხებიათ მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ ან ამ ტიტულის მოპოვებამდე, ან კიდევ მაშინ, როცა უკვე ისინი ექს-ჩემპიონები იყვნენ. მაგალითად, ბ. გურგენიძეს მოუგია მ. ტალისა და ბ. სპასკისთვის, ა. ბლაგიძეს და თენ. გიორგაძეს — ტ. პეტროსიანისთვის (ტახტზე მათ ასვლამდე); თამ. გიორგაძეს და ა. ბოკუჩავას — მ. ტალისთვის (როცა იგი აღარ იყო ჩემპიონი).

დანარჩენი გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: აგზამოვმა მოუგო ტუკმაკოვს, მალანიუკმა — აზმაიფარაშვილს, ვაჰანიანმა —გელერს, პოლუგაევსკიმ — აგზამოვს და იუსუპოვმა — რაზუვაევს. დაზავდნენ ვაჰანიანი — რომანიშინი და რომანიშინი — ბელიავსკი.

6 ტურის შემდეგ ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ო. რომანიშინს (ლვოვი) — 3,5, ვ. ტუკმაკოვს (ოდესა), ი. ბალაშოვს (მოსკოვი), ა. ბელიავსკის (ლვოვი) — 3-3 (1-1), ა. კარპოვს (მოსკოვი), რ. ვაჰანიანს (ერევანი) — 3-3.

ზ. აზმაიფარაშვილს 2 ქულა და ერთი (ტუკმაკოვთან) გადადებული პარტია აქვს.

ნინო ფილიას წარმატება

დამთავრდა თბილისის ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც 17 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნ. ფილიამ — 13,5 ქულა. II ადგილზეა ლ. სადუნიშვილი — 12, III — მ. თანდაშვილი — 12.

სამივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში (5-25 ივნისი, სამტრედია).

ა. ბლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი.

ჭადრაკსა და შაშში

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატები ჭადრაკსა და შაშში უსინათლო სპორტსმენებს შორის.

ჭადრაკში ჩემპიონი გახდა ქ. მირონოვი — 15,5 ქულა 17-დან. II ადგილზეა გ. ჭუმბურიძე — 15, III — ვ. კუჩეტკოვი — 14.

შაშში ყველას აჯობა რ. გოგოლაძემ — 16,5 ქულა 19-დან. II ადგილი დაიკავა ი. სოტიევმა — 16, III — გ. დეკანოიძემ — 15,5.

ი. ხაბეიშვილი.

თ. ბიკოვა:

„ვოცნებობ პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე“

არაერთი ნათელი, დრამატული, ამაღელვებელი მომენტით იყო აღსავსე ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელიც ბუდაპეშტის ახალი სპორტის სასახლის სარბიელზე გაიმართა. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, როცა სუნთქვაშეკრული 7000 მაყურებლის წინაშე სახტომ სექტორზე გამოჩნდა წითელმაისურიანი თხელი, მოხდენილი ქალიშვილი — დონისროსტოველი სტუდენტი თამარა ბიკოვა. მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა ტრიბუნები მის ნახტომს. მსუბუქად, თამასას რომ არ გაჰკარებია, ისე გადალახა მან ორმეტრიანი სიმაღლე, შემდეგ ასევე დამაჯერებლად აიღო ჯერ 202 სმ, და ბოლოს 203 სმ... მძლეოსნობის ისტორიაში ასეთ სიმაღლეზე ჯერ არც ერთი ქალი არ გადამხტარა. თამარა ბიკოვას უმაღლესი მსოფლიო მიღწევა სანტიმეტრით სჯობს გფრ-ის სპორტსმენის ულრიკე მეიფარტის მსოფლიო რეკორდს (ღია სტადიონებისთვის). სხვათა შორის, თამარა „თავსზემოთ“ 20-ზე მეტ სანტიმეტრზე გადახტა...

24 წლის როსტოველ საბჭოთა მძლეოსან ქალთა შორის პირველი მსოფლიო რეკორდსმენი (დარბაზებისთვის) და პირველი საბჭოთა მხტომელია, რომელმაც 2-მეტრიანი ზღვარი გადალახა. მხოლოდ გამარჯვებაზე, 2-მეტრიანი სიმაღლის დაპყრობაზე ვფიქრობდი, — განაცხადა შეჯიბრების შემდეგ თამარამ. იგი დარწმუნებულია, რომ მისი შედეგი ქალთა მძლეოსნობის ამ სახეობაში ახალი „ათვლის წერტილი“ გახდება, რომ სპორტსმენები მალე 210 სმ სიმაღლეს შეუტევენ. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირში არიან სპორტსმენები, რომლებსაც ძალუძთ ასეთი სიმაღლეების დაძლევა. ახლა ჰელსინკის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე ვოცნებობ, — თქვა ბიკოვამ.

თამარა, რომლის პირველი შედეგი მოკრძალებული 155 სმ იყო (ეს სიმაღლე მან 16 წლისამ დაძლია), სულაც არ გახლავთ ვუნდერკინდი მძლეოსნობაში. ყველაფერი, რასაც მან მიაღწია, თავდაუზოგავი შრომის შედეგია. მისი ხასიათიც სპორტულ ბრძოლებში, ძლიერ მეტოქეებთან შეჯიბრებაში განმტკიცდა. თამარასთვის ყველაზე მკაცრი გამოცდა იყო ათენის ევროპის ჩემპიონატი — უზარმაზარ, მოგუგუნე სტადიონზე მრავალსაათიანი დამქანცველი ბრძოლა. ბრწყინვალე მეიფარტსა და მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონ, სიმაღლის მომხიბვლელ „პრიმა-ბალერინასთან“ სარა სიმეონთან დავა... და საბოლოოდ ვერცხლის მედალი, ნადავლი, რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ ჩვენი მესიმაღლეებისგან საბჭოთა მძლეოსნობის მოყვარულები.

და აი, ბუდაპეშტში დადგა თამარა ბიკოვას ტალანტის ზეიმის წუთი, ვიმედოვნებთ, რომ მის წამოწყებას დანარჩენებიც აიტაცებენ, და ჩვენი მხტომელები აითვისებენ, ჩვეულებრივს გახდიან ორმეტრიან ზღვარს. (საკდესი).

* * *

სურათზე: „კოსმოსური“ სიმაღლე დაძლეულია; თ. ბიკოვა ესალმება გულშემატკივრებს.

ასპარეზობენ ნორჩები

ერევნის კორტებზე დამთავრდა ამიერკავკასიის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლების ტურნირი. თბილისელებმა (სკოლის დირექტორი თ. კაკულია) დამაჯერებლად სძლიეს ერევნელ (8:5) და ბაქოელ (10:4) თანატოლებს და პირველ ადგილზე გავიდნენ.

შემდეგ ნორჩმა ჩოგბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს ერევნის მოზარდთა ლიგა პირველობაში. (ამ შეჯიბრებამ ქვეყნის 9 ქალაქის ჩოგბურთელები შეკრიბა).

ჩვენი სპორტსმენებიდან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს ა. ახალაძემ. თ. ბიბილეიშვილმა და ა. სიმონიანმა. II ადგილზე გავიდნენ ნ. ქარქუსოვა, მ. კუპრავა და ი. მარქაროვი, მესამეზე — ნ. ეშკოვსკაია და ლ. რუსულაშვილი.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ორივემ აღიარა...

როგორც ცნობილია, პროფესიონალ მოკრივეთა საერთაშორისო ორგანიზაციები ვბკ და ვბა ერთმანეთისადმი მეტად მტრულად არიან განწყობილნი. თითოეულ მათგანს თავისი მსოფლიოს ჩემპიონები ჰყავს და მეტოქის ყოველგვარ შეჯიბრებებს სრულ იგნორირებას უკეთებს.

ამ დღეებში ამ მეტოქე ორგანიზაციების მსოფლიოს ჩემპიონები, კარგა ხნის ბოიკოტის შემდეგ, ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ გამარჯვებულს ორივე მხარე აღიარებდა. ატლანტიკო-სიტიში მოეწყო მატჩი ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის. მაიკლ სპინქსი (აშშ), რომელიც ვბა-ს მიერ გახლავთ აღიარებული, შეებრძოლა დუაიტ ბრექსტონს (აშშ).

მატჩი ატლანტიკო-სიტიში 15 რაუნდისაგან შედგებოდა. პირველ 7 რაუნდში უპირატესობას სპინქსმა მიაღწია. მერვე რაუდნში ბრექსტონის უძლიერესი დარტყმის შედეგად სპინქსი იატაკზე აღმოჩნდა. მსაჯმა რვამდე დაითვალა, რის შემდეგ მოკრივე წამოდგა და ბრძოლა გააგრძელა. საინტერესოა, რომ მომდევნო რაუნდებში სპინქსი კიდევ ორჯერ წაიქცა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ მას ფეხი დაუცურდა. მატჩის დასკვნითი რაუნდები სპინქსის უპირატესობით წარიმართა. მან ძალიან კარგად გამოიყენა თავისი სიმაღლე (სპინქსი 188 სმ სიმაღლისაა, ბრექსტონი 20 სანტიმეტრით უფრო დაბალი) და მეტოქეს უძლიერესი დარტყმები მიაყენა. მეთორმეტე რაუნდის შემდეგ ბრექსტონმა ვეღარ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და ნოკაუტს ძლივს გადაურჩა.

მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს ქულებით გამარჯვება სპინქსს, რომელიც ამიერიდან ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონია თავის წონით კატეგორიაში.

პანორამა

● ფარიკაობა

გფრ-ის ქალაქ ჰეიდენგეიმში ჩატარებული მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედის. დაშნით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა მ. ტიშკომ, რომელმაც ფინალში დაამარცხა უნგრელი კ-სია. მესამე ადგილზე გავიდა ასევე საბჭოთა მოფარიკავე ა. მოჟაევი.

● ფრენბურთი

ჰავანაში დამთავრდა კუბისა და აშშ-ის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების სამატჩო შეხვედრების სერია. მასპინძელთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოცდილ ფრენბურთელებთან ერთად ახალგაზრდებიც გამოდიოდნენ, ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო.

● ცურვა

საბჭოთა იუნიორ მოცურავეების გამარჯვებით დამთავრდა გდრ-ის ქალაქ ჰერაში გამართული ამხანაგური სამატჩო შეხვედრა მასპინძლების გუნდთან — 176:162.

● კრივი

მერვე წელიწადია კუბისა და აშშ-ის მოკრივეები ტრადიციულ სამატჩო შეხვედრებს მართავენ. ამ რანგის შეჯიბრება ამას წინათ გაიმართა ჰავანის სპორტის სასახლეში და მასპინძელთა სენსაციური გამარჯვებით დამთავრდა — 12:0. ამასთან, კუბელმა მოკრივეებმა ორი შეხვედრა ნოკაუტით მოიგეს, სამი — აშკარა უპირატესობით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-7,1 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07476